პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 122 (2485) ◉ შაბათი, 23 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## რომან რურუა

### კვლავ სსრ კავშირის ჩემპიონია



სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი რ. რურუა.

ტალინი, 22 ივნისი. (ტელეფონით). გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის. ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს: უმჩატესში — ი. კოჩერგინმა (საბჭოთა არმია), ქვემსუბუქში — რ. რურუამ („კოლმეურნე"), ქვესაშუალოში — ა. კოლესოვმა (საბჭოთა არმია), ქვემძიმეში — ვ. ანისიმოვმა (საბჭოთა არმია).

განსაკუთრებით საპატიოა ჩვენი თანამემამულის რ. რურუას გამარჯვება, რადგან მის წონაში ოქროს მედლისთვის ძლიერი მოჭიდავეები იბრძოდნენ. აი, ზოგიერთი მათგანი: გ. საპუნოვი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ი. გრიგორიევი — ი. პოდუბნის სახელობის თასის მფლობელი, ვ. კაციუბა და კ. კარამულინი — მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრები. სწორედ ამ „კამპანიაში" დაიწყო თავისი ძნელი გზა რ. რურუამ. პირველსავე წრეში იგი მთავარ ფავორიტებს შეხვდა (ესეც ბედია!). ქართველმა ოსტატმა ჯერ კაციუბას მოუგო დამაჯერებლად, მერე კარამულინი დაამარცხა. მტკიცედ და მეთოდურად მიიკვლევდა იგი გზას ფინალისაკენ. და აი, შედეგიც — რ. რურუამ შეინარჩუნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის შარშან მოპოვებული საპატიო ტიტული.

## საჰაერო ოკეანის ოსტატთა დღესასწაული

დიდი საავიაციო-სპორტული დღესასწაული გაიმართება 5 ივლისს თბილისის იპოდრომზე. დღესასწაულს აწყობენ საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი.

უმაღლესი პილოტაჟისა და საპარაშუტო სპორტის ცნობილ ოსტატთა გამოსვლა საქართველოში პირველად ეწყობა. ამასთან დაკავშირებით საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ს. ი. აბულაძეს მოეთხრო მომავალ დღესასწაულზე.

—თბილისელები,—თქვა ამხ. აბულაძემ,—ჭეშმარიტად გრანდიოზული სანახაობის მოწმენი გახდებიან. ჰაერში აფრინდებიან მსოფლიოსა და სსრ კავშირის სახელგანთქმული ავიატორები და რეკორდსმენი პარაშუტისტები. დღესასწაულის საზეიმო გახსნის შემდეგ გადაიფრენს შვეულმფრენთა ჯგუფი ვ. ი. ლენინის პორტრეტით, საბჭოთა კავშირის, საქართველოს და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ალმებით. შემდეგ გადაიფრენს საბრძოლო თვითმფრინავთა ექვსი ჯგუფი.

პირველ განყოფილებაში მფრინავები გვიჩვენებენ უმაღლეს პილოტაჟს. განყოფილებას სასპორტო თვითმფრინავზე ინდივიდუალური პილოტაჟით დაიწყებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მიხინა. შემდეგ პლანერის ტარების ხელოვნებას წარმოგვიდგენს სსრ კავშირის სპორტის ოსტატი პოლოშვა. სპორტის ოსტატი შაროვი ინდივიდუალურ პილოტაჟს შეასრულებს „მი-1" შვეულმფრენით. მის შემდეგ ჰაერში აფრინდება ორი შვეულმფრენი, რომლებზეც ჩამოკიდებული იქნება რგოლები და ტრაპეცია და საჰაერო აკრობატები—სპორტის ოსტატები ლანცოვი და გუდინია შეასრულებენ რთულ ვარჯიშს.

მთელი პროგრამის ღერძი იქნება ორი თვითმფრინავის გადაფრენა ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ავიატორები უწოდებენ „თავი თავთან". ერთი თვითმფრინავი ნორმალურ მდგომარეობაში მიფრინავს, მეორე კი—გადაბრუნებული. შემდეგ ამ მდგომარეობაში სპორტის ოსტატები კლიმოვი და ჟუჩკოვი შეასრულებენ ნესტეროვის მარყუჟს.

მეორე განყოფილებას, რომელიც საპარაშუტო სპორტს მიეძღვნება, გახსნიან სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი სელივესტროვი და მსოფლიო რეკორდსმენი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი კაზაკოვი. ჰაერში რთულ ოპერაციებს—პარაშუტთა შეცვლას შეასრულებენ მსოფლიო რეკორდსმენები, სპორტის ოსტატები კრუტოვი და ბიკმურდინი. ჯგუფურ გადმოხტომას — ქალთა „პირამიდას" შეასრულებენ მსოფლიო რეკორდსმენები სალდაძე, შნიტოვა და მარინინა. მსოფლიო რეკორდსმენები საპარაშუტო სპორტში გვიჩვენებენ ჯგუფურ გადმოხტომებს „ჯვარს", „ფრანს" და ბევრ სხვას.

განყოფილებათა შორის შესვენების დროს მაყურებლები ნახავენ ავიამოდელისტთა, ავტო და მოტოსპორტის ოსტატთა ხელოვნებას.

(საქდესი).

## ო. ფხაკაძე — პირველ ადგილზე

ტულა, 21 ივნისი. (ტელეფონით). აქ საინტერესო ბრძოლებით აღინიშნა სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთისა და ბულგარეთის ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება.

სპრინტერულ რბოლაში წარმატებით გამოვიდა თბილისელი ო. ფხაკაძე, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოველმა ბ. ვასილიევმა. ვასილიევმა ვ. ხიტროვთან წყვილში გაიმარჯვა ტანდემებით შეჯიბრებაში.

გამოდევნებით 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში საუკეთესო დრო აჩვენა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა (ს. მოსკვინი, ა. ბელგარდი, ლ. კოლუმბეტი და მ. კოლიუშევი).

## ფინიში ამსტერდამში

### ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ბ. ლარსენი, ბ. ივკოვი — პრეტენდენტები

თითქმის მთელი თვე იბრძოდა ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის 24 გამოჩენილი მოჭადრაკე მსოფლიო პირველობის 6 პრეტენდენტის გამოსავლენად, მაგრამ პრეტენდენტობის მაძიებლებმა ისე განვლეს „მარათონული დისტანცია", რომ ტურნირის დასკვნითი, XXIII ტურის წინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, თუ ვინ მოხვდებოდა „ბედნიერ ექვსეულში" და აი, 21 ივნისს შედგა XXIII ტურიც.

ტალმა აღმავლობით ითამაშა ბულგარელ დიდოსტატ ტრინგოვთან და გაიმარჯვა. გაახარა თავისი ქომაგები სპასკიმაც. მან მოუგო პერუელ კვინონესს. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა შტეინმა ვერაფერი გააწყო გერმანელ დარგასთან, რომელიც იშვიათი შეუპოვრობით იგერიებდა მუქარებს, და იძულებული შეიქმნა ყაიმს შერიგებოდა. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ტალი და სპასკი გავიდნენ პრეტენდენტებში.

როგორ ითამაშებს სმისლოვი? ეს კითხვა აღელვებდა შტეინსა და ბრონშტეინს, ვინაიდან სმისლოვის მარცხის შემთხვევაში ისინი დაეწეოდნენ მას და დამატებით მატჩ-ტურნირში კიდევ ერთხელ ცდიდნენ თავიანთ ძალებს. ამ დროისთვის სმისლოვს მძიმე თამაში ჰქონდა ლარსენთან. დანიელი დიდოსტატი მწვავედ უტევდა მას. მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა შეძლო გადაეყვანა ბრძოლა ეტლების ენდშპილში, სადაც იგი ვირტუოზადაა აღიარებული. სმისლოვმა თანდათან გაათანაბრა მდგომარეობა. პარტია გადაიდო.

არც ბრონშტეინს დაუმთავრებია თამაში პორტიშთან. ეს პარტია დაძაბულად ვითარდებოდა, რადგან უნგრელსაც პრეტენდენტობის შანსები ჰქონდა.

ანალიზმა დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული ორი პარტიის შეწყვეტილ პოზიციებში არც ერთ მხარეს მოგება არა აქვს და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამით პრეტენდენტებში სმისლოვიც მოხვდა, პორტიში კი დაეწია ამერიკელ რეშევსკის. ივკოვმა მოუგო ფოგელმანს და გაინაღდა პრეტენდენტებში თამაში.

ტურნირი დამთავრდა. საბოლოოდ პირველი ადგილები ასე განაწილდა: I-IV ადგილებზე არიან ბ. ლარსენი, ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, მ. ტალი (17 ქულა თვითეულს), V— ლ. შტეინი (16,5 ქულა), VI — დ. ბრონშტეინი (16 ქულა), VII —ბ. ივკოვი (15 ქულა), VIII—IX — ს. რეშევსკი, ლ. პორტიში (14,5 ქულა თვითეულს) და ა. შ.

ამრიგად, დღესთვის ცნობილია მხოლოდ 5 პრეტენდენტი (ვ. სმისლოვი, ბ. სპასკი, მ. ტალი, ბ. ლარსენი, ბ. ივკოვი). მეექვსე პრეტენდენტს გამოავლენს რეშევსკი—პორტიშის დამატებითი მატჩი.



სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომელმაც II ადგილი დაიკავა ევროპის თასის გათამაშებაში.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## უკანასკნელი საათი...

◆ ამსტერდამი, 22 ივნისი. დღეს აქ საზეიმო ვითარებაში დაიხურა საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. გამარჯვებულებს — საბჭოთა დიდოსტატებს ვ. სმისლოვს, მ. ტალს, ბ. სპასკის, შვედ ბ. ლარსენს და იუგოსლაველ ბ. ივკოვს გადაეცათ პრიზები. მსოფლიო ჩემპიონთან — ტ. პეტროსიანთან მატჩისთვის კენჭისყრის შედეგად შედგა მეოთხედფინალური წყვილები: ბოტვინიკი — სმისლოვი, კერესი — სპასკი (აქ გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში), ლარსენი — ივკოვი, ტალი — რეშევსკი-პორტიშის მატჩში გამარჯვებული (ამ მოჭადრაკეთაგან შედგება მეორე ნახევარფინალური წყვილი). რეშევსკისა და პორტიშის მატჩი (4 პარტიიდან) დაიწყება ხუთშაბათს, 25 ივნისს.

◆ გფრ. იტალიელმა სპრინტერმა ს. ატალინომ 200 მეტრზე რბენაში დაამყარა ევროპის ახალი რეკორდი — 20,4 (ძველი რეკორდი — 20,5 — ეკუთვნოდა მის თანამემამულე ლ. ბერუტის).

◆ დონეცკი, 22 ივნისი. დღეს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ადგილობრივი „შახტიორი" შეხვდა რომის „ლაციოს". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ბურთი გაიტანა ნალესნიმ.

## რომში — 46-ე ტოკიოში?..

თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიოში ერთ-ერთი შესანიშნავი შედეგი აჩვენა ავსტრალიელმა სპორტსმენმა პეტერ მაკენმა. თავისი ქვეყნის წინასაოლიმპიადო შესარჩევ შეჯიბრებაში მან დააგროვა 5.567 ქულა.

უნდა ითქვას, რომ ცოტა ხნის წინათ 5.000-ანი ზღვარიც კი მიუწვდომელი იყო ბევრი საუკეთესო ხუთჭიდელისთვის და დღეისათვის თითებზე ჩამოითვლებიან სპორტსმენები, რომლებმაც გადააბიჯეს ზემომოყვანილ ციფრს. ამ კატეგორიის ხუთჭიდელებში არიან საბჭოთა სპორტსმენები ი. ნოვიკოვი, ე. სდობნიკოვი, ვ. პიჩუჟკინი, ა. ბოკეევი და სხვ. რაც შეეხება მაკენს, იგი არადროს არ ბრწყინავდა. რომის ოლიმპიურ თამაშებზე ავსტრალიელმა მხოლოდ 46-ე ადგილი დაიკავა.

შეჯიბრებაზე, რომელშიც მაკენმა საკვირველი შედეგი აჩვენა, ჩვეულებრივი იყო და არ განსხვავდებოდა სხვა მსგავსი ღონისძიებისგან. პროგრამაში იყო ფარიკაობა, პისტოლეტიდან სროლა, ცხენოსნური და მძლეოსნური კროსები, ცურვა. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, თუ რა სირთულის იყო მძლეოსნური და ცხენოსნური კროსები. ხუთჭიდის სხვა სახეობებთან შედარებით, აქ მხედველობაშია მისაღები დისტანციის სირთულე, ადგილმდებარეობის პროფილი და სხვა დაბრკოლებანი. მაგრამ სულ ერთია — მაკენის შედეგი შესანიშნავია. გავიხსენოთ, რომ რომის ოლიმპიადაზე ხუთჭიდში გამარჯვებულმა უნგრელმა ფ. ნემეტმა პირველი ადგილი დაიკავა 5.024 ქულით, ხოლო მისი თანამემამულე ფ. ტიორეკი 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონი გახდა 5.267 ქულით.

ეჭვი არაა, რომ მაკენი ჩვენი ხუთჭიდელების ერთ-ერთი სერიოზული მეტოქე იქნება ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. ასევე ძლიერია ავსტრალიის გუნდი, რომელშიც მაკენის გარდა შევიდნენ: დონ მაკმიკენი, დუნკან პეიჯი და ლოიდ მიტჩელსონი.

TOKYO 1964





ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში ბევრია მუშა-მოსამსახური, რომლებიც გატაცებით მისდევენ ფიზკულტურასა და სპორტს.

სურათებზე: მარცხნივ — მეორეთანრიგოსანი ფრენბურთელი ნ. კოტელნიკოვა დაზგასთან; მარჯვნივ — მოწინავე შემკეთებელი გ. სულუხია თანრიგოსანი ტურისტიცაა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ქმედითი, მრავალფეროვანი პროპაგანდისათვის!

დღეს ფიზიკური კულტურა და სპორტი მსოფლიოს ხალხთა კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად იქცა. ამიტომაა, რომ სპორტული თემა სულ უფრო ხშირად ედება საფუძვლად ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მხატვრულ კინოფილმებს, რადიო და ტელეგადაცემებს. ჩვენს ქვეყანაში მხატვრულ ფორმებში ასახული ფიზკულტურული მოძრაობა სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად იქცევა.

როგორაა ამ მხრივ საქმე საქართველოში? პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მწერლები არ გვანებივრებდნენ სპორტულ თემაზე დაწერილი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, ამ უკანასკნელ წლებში კი მთლად დაივიწყეს ეს თემა. აკაკი ბელიაშვილის, სიმონ მთვარაძისა და სხვათა ნაწარმოებების შემდეგ ეს ათი წელია არაფერი შექმნილა. ჩვენ გვახსოვს საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელთა რამდენიმე სტუმრობა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან, გვახსოვს მათი დაპირებები, რომ ბოლოსდაბოლოს შექმნიდნენ ჩვენი სპორტსმენების ცხოვრების ამსახველ მხატვრულ ტილოებს. მაგრამ სტუდენტები და სპორტსმენები დღესაც ამ დაპირების შესრულების მოლოდინში არიან.

საკვირველია, რომ უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების კინოსტუდიებისგან განსხვავებით, ჩვენთან არ იქმნება სპორტული ფილმები. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ამ თხუთმეტი წლის წინ რეჟისორ რონდელის მიერ შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მხატვრული ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი". „ბურთი და მოედანი"?! იგი არაა სპორტული ფილმი. აქ სპორტი გამოყენებულია როგორც ფონი, რომელზეც თამაშდება სხვადასხვაგვარი კომიკური ამბები.

ამგვარი უმოქმედობის მიზეზად კინოსტუდიის მუშაკები მაღალხარისხოვანი სცენარების უქონლობას ასახელებენ. მაგრამ, იქნებ ამაში „ქართულ ფილმსაც" მიუძღვის ბრალი იმ გაგებით, რომ არ ზრუნავს „სპორტულ" კინოსცენარისტთა სტიმულზე? სხვა თუ არაფერი, სირცხვილია, სპორტულ რესპუბლიკად წოდებული საქართველო ერთხელაც არ წარმოსდგეს ეკრანზე თავისი ფიზკულტურული ცხოვრების მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით.

სპორტის პროპაგანდის საქმეში გაცილებით მაღლა დგას საქართველოს რადიო და ტელევიზია. რადიოს ახალგაზრდობის რედაქციის ჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", რომელიც ყოველ კვირა დღეს გადაიცემა, მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. სპორტი თავის ადგილს იკავებს უკანასკნელ ცნობებსა და სხვა გადაცემებში. მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ: ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს რადიო გადმოიღებდა საკავშირო რადიოს ერთ კარგ გამოცდილებას: როგორც ცნობილია, საკავშირო რადიო ყოველდღე გადასცემს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მიმოხილვას. რა დააშავა ჩვენმა ადგილობრივმა სპორტულმა პრესამ?!.

აქვე უნდა შევეხოთ სტადიონების — „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" რადიოკვანძების მუშაობას. ამ რედაქციების შექმნა მისასალმებელია. მაგრამ ჩვენ მოველით, რომ მათი მუშაკები მეტ მრავალფეროვნებას შეიტანენ გადაცემებში. სტადიონების რადიოკვანძების საქმიანობა სერიოზული ყურადღების ღირსია: მას ხომ 50 ათასამდე მსმენელი ჰყავს!

ასეთივე დიდი შესაძლებლობანი აქვს სპორტის სასახლეს, „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონს. ამ უკანასკნელის დირექცია რადიოკვანძის რთულ მოწყობილობას მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ... მოედანზე გამოიძახოს ჩოგბურთელები.

უკანასკნელ ხანს მეტად კარგი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს ტელევიზიაში: აქ ახალგაზრდობის რედაქციას გამოეყო და ცალკე შეიქმნა სპორტულ გადაცემათა რედაქცია. ახალგაზრდობის რედაქციამ ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა სპორტის პროპაგანდის დარგში. მის მიერ გადაღებული სპორტული ფილმები ნაჩვენები იქნა საზღვარგარეთაც. ტელევიზიის საშუალებით თბილისის ტელემაყურებლები დაუსწრებლად ხდებიან დიდ სპორტულ შერკინებათა მოწმენი.

მაგრამ სპორტის პროპაგანდა მარტო ახალგაზრდობისა და სპორტულ გადაცემათა რედაქციების ვალი როდია. სხვა რედაქციებიც არ უნდა უშვებდნენ ხელიდან ფიზიკური კულტურის პროპაგანდის შესაძლებლობას. ტელევიზიის სოფლის მეურნეობის რედაქციამ ამას წინათ მოაწყო გურიის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის გამოსვლა გამოცდილების გაზიარების სახით. ორატორმა ილაპარაკა კოლმეურნეთა წარმატებებზე, მოუხსენებელი არ დარჩენია საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკის, მხატვრული თვითმოქმედებისა და კოლმეურნეთა ცხოვრების თითქმის არც ერთი დარგის მუშაობა. მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ წამოცდენია სოფლად სპორტულ მუშაობაზე, კოლმეურნეთა შორის გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურულ საქმიანობაზე. და ეს მაშინ, როცა ცნობილია, რომ ამ სოფელში უყვართ სპორტი და ახალგაზრდობას ამ მხრივ კარგი პირობები აქვს.

სპორტის პროპაგანდის საუკეთესო ფორმად იქცევა სხვადასხვა შეჯიბრებების ტელეგადაცემები. მატჩების ტელეგადაცემა თავისთავადაც უწყობს ხელს სპორტის პროპაგანდას. მაგრამ აქაც ხომ შეიძლება უფრო მეტი გაკეთდეს? მაგალითად, თუ ფეხბურთის ტრანსლაციის დროს ჩვენი დიქტორები მაღალი ხელოვნებით გადასცემენ ხოლმე მატჩების მსვლელობას, ეს იმიტომ, რომ ფეხბურთის წესები მათთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ვეჭვობთ ასეთი ხელოვნებით გადასცენ მათ, მაგალითად, ტანვარჯიში, რაგბი, ძიუ-დო და სხვ. აქ დიქტორმა თავის გადაცემაში მოხდენილად უნდა ჩართოს სპორტის ამ სახეობათა სპეციალისტების განმარტებანი. გარდა ამისა, დროა ვცადოთ დიდი მატჩების ტელეგადაცემა ჩოგბურთის კორტებიდან, ველოტრეკიდან და სხვა სარბიელებიდან.

ა. ციბაძე

# მადლობა — მწვრთნელს!

თბილისში დამთავრდა საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების XVII სპარტაკიადა. პროგრამის 13 სახეობაში გამარჯვებისთვის იბრძოდა 19 ფიზკულტურული კოლექტივის 653 მოსწავლე-სპორტსმენი.

ასპარეზობამ ბევრი პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ შეჯიბრების მსვლელობისას 343-მა მონაწილემ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები. ერთი ოსტატობის კანდიდატი, 4 პირველთანრიგოსანი, 88 მეორეთანრიგოსანი, 73 მესამეთანრიგოსანი და 177 ჭაბუკთა თანრიგოსანი. აი, სპარტაკიადის პატარა რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მრავალათასიან არმიას.

როგორ მიმდინარეობდა შეჯიბრება?

... ტანვარჯიშული დარბაზი. გოგონათა შორის ჩემპიონის გამოვლენამდე რჩება ერთადერთი, ბოლო იარაღი — ორძელი... უკანასკნელი ლამაზი ჩამოხტომი და სახემცინარი გოგონა სულმოუთქმელად ელის მსაჯთა გადაწყვეტილებას... 9,5. მრავალჭიდის ჯამში — 74,9 ქულა! მეგობრების მილოცვები, მწვრთნელის სიხარული, პირადი განცდა, და ეს ყოველივე თითქოს რამდენიმე წამით აბნევს თბილისის 35-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეს ლიანა ბალანდინას, რომელმაც პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ახალი ჩემპიონი ჩვენმა შეკითხვამ გამოარკვია:

— როგორია თქვენი გეგმები?

— პირველყოვლისა, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელს თ. იორდანიშვილს. ჩემი უახლოესი მიზანი კი სპორტის ოსტატის სახელის დამსახურებაა. წინ არის „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობა და ვეცდები იქ მოვიპოვო საპრიზო ადგილი.

საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე შეხვედრები კრივში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსნი არიან ისინი, ვინც ასახელა თავისი კოლექტივი პირად ჩათვლაში: ტანმოვარჯიშე ლ. ქურუმაძემ (ენისელის მე-2 სასწავლებელი) პირველი ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის; კლასიკური სტილის მოჭიდავეები ი. ბოხუა და ს. სულაბერიძე (ორივენი — ქუთაისიდან), თავისუფალ ჭიდაობაში ლ. ტეფნაძე (სურამი) და თ. მებალიშვილი (ენისელი), თბილისელი მძლეოსნები ვ. მარტინიუკი და ე. კოლოსნიჩენკო, მაგიდის ჩოგბურთელი ა. ბულგაკოვა და სხვ.

## პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადა

სპორტის 13 სახეობიდან გუნდურ საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, სურამის, ბორჯომის, ენისლის, სამტრედიის, ბათუმის სასწავლებლები. ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: თბილისის მე-6 სასწავლებელმა (კალათბურთში, კრივში, კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში), თბილისის 31-ე სასწავლებელმა (ველოსპორტში, ტანვარჯიშში, ფრენბურთში, ფეხბურთში), თბილისის 32-ე სასწავლებელმა (მაგიდის ჩოგბურთში, აკრობატიკაში), სურამის მე-14 სასწავლებელმა (თავისუფალ ჭიდაობაში).

ჭაბუკთა შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისის 31-ე, თბილისის მე-6 და სურამის მე-14 პროფტექნიკურ სასწავლებელთა კოლექტივები; გოგონებში — თბილისის 27-ე და 23-ე, აგრეთვე ტყვარჩელის 22-ე სასწავლებელთა სპორტსმენები.

ვ. ხანდამიშვილი

## შრომაშიც, სპორტშიც...

ნ. დოლბაიამ სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო „ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში. ეს იყო 6 წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე ბეჯითი ქალიშვილი დაეუფლა მოტორისტის, მრეცხავისა და მდოზირებლის საპატიო საქმეს. ფაბრიკაში მომუშავე ქალიშვილებს შორის მას პირველს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

ქალიშვილი გატაცებით ეუფლება სპორტსაც. განსაკუთრებით უყვარს ხელბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი. იგი სამივე სახეობაში ტყვარჩელის ნაკრები გუნდების წამყვანი მოთამაშეა და ბევრჯერ დაუცავს მშობლიური საწარმოს, ქალაქის ღირსება რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

შრომასა და სპორტში მოწინავე ქალიშვილის ცხოვრებაში ამას წინათ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — იგი მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად.

ვ. ჯღარკავა

ტყვარჩელი.

## კორესპონდენტები გვატყობინებენ

### აბაშა

ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა გუნდების ფინალური შეჯიბრება ვ. მარღანიას სახელობის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატისა და ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის გუნდები. გაიმარჯვეს აბაშელებმა — 5:3.

საქალაქო კულტურის სახლში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა შეჯიბრება ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 სპორტსმენი.

I ადგილი დაიკავა აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგემ ე. ძველაიამ. მომდევნო ადგილები გაიყვეს გ. ჩიქოვანმა, ო. კაჭარავამ და კ. თოფურიამ. გამარჯვებულებს მიენიჭათ მეორე თანრიგი.

ი. თოფურია

### ბათუმი

ზღვისპირა პარკში მრავალ დამსვენებელს ნახავთ როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდან. კვიპაროსების ხეივანში მოჭადრაკეებისა და მოშაშეებისთვის მოწყობილია სპეციალური მაგიდები. აქვეა მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილიც.

ამას წინათ პარკის დირექციამ საინტერესო შეჯიბრება ჩაატარა — პარკის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. დღის 12 საათიდან ორ მაგიდაზე ერთდროულად გაიმართა ცხარე ბრძოლები უძლიერესის წოდების მოსაპოვებლად. მასში მონაწილეობდა 30-მდე სპორტსმენი. პარკის ჩემპიონი გახდა ბათუმის მუშა-ახალგაზრდობის № 1 ქართული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ო. ბოლქვაძე, რომელმაც ფინალში მოუგო მე-9 სკოლის მეათეკლასელ ჯ. ბერიძეს — 2:0.

ო. მურვანიძე

### ჩოხატაური

ჩოხატაურის იპოდრომზე გაიმართა შეჯიბრება ცხენოსნობაში, ჩაისუბნის, ბუკნარის, ერკეთის, ქვენობნის, სამებისა და ხიდისთავის სპორტსმენთა მონაწილეობით. პირველი ადგილი დაიკავა სოფელ ქვენობნის წარმომადგენელმა შ. მახარაძემ.

აქვე მოეწყო საშუალო კლასის დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა. ყველა დაბრკოლება უშეცდომოდ გადალახეს ბუკნარელმა მ. ჩხიკვაძემ და ერკეთელმა ზ. ჯიქიამ.

დ. გურგენიძე

# ძალგიძთ თუ არა?!

**რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში**

**ჩემპიონატი** დამთავრდა. განაწილდა ადგილები და პრიზები. აი, მათი მფლობელებიც: **უმძიმესი წონა** — ჩ. ქუცნიაშვილი, დ. დორეული, ვ. ბეინიშვილი; **მჩატე** — რ. ბუკულოვი, ბ. ჟიჟიაშვილი, ა. ჯანგველაძე; **ქვემსუბუქი** — გ. ბალხამიშვილი, ფ. მარტყოფლიშვილი, ჯ. დავითაშვილი; **მსუბუქი** — ა. ოდიშვილი, ფ. ჭავჭავაძე, შ. იმერლიშვილი; **ქვესაშუალო** — ვ. ბორჩაშვილი, ვ. იაშვილი, ი. ქვლივიძე, **საშუალო** — ბ. ბალაკაშვილი, შ. გულიაშვილი, დ. წოწინაშვილი; **ქვემძიმე** — ა. ზურაბაული, გ. გოგოლაური, ვ. ქაიხოსროშვილი; **მძიმე** — ნ. ყაჩმაზაშვილი, მ. კულიჯანოვი, ს. მაისურაძე. **გუნდური ჩათვლა:** 1. თბილისი, 2. გორი, 3. მცხეთა.

ესაა ტექნიკური შედეგები, რომელთა მიღმა დგას ცოცხალი სინამდვილე, ორთაბრძოლები, ჩემპიონატი მთელი თავისი კონკრეტულობითა და უშუალობით.

უკანასკნელ დროს მაინც, ყოველი ჩემპიონატის დამთავრება ჩვენს წინაშე აყენებს უამრავ საკითხს, საფიქრებელს, ბევრ პრობლემას. და სწორედ ბოლო ხანებში ეს ყველაფერი კონცენტრირდება ერთ, მთავარ კითხვაში, იყო თუ არა განვლილი ჩემპიონატი საეტაპო?

რატომ საეტაპო? იმიტომ, რომ უკანასკნელ დროს ქართულ ჭიდაობაში ჩვენ ჰაერივით გვჭირდება „რენესანსი" და ყოველ ახალ ჩემპიონატს იმედისა თუ ნატვრის თვალით შევყურებთ: აი, იქნებ ახლა გამოჩნდეს ძალა, რომელსაც შეეძლება კვლავინდებურად ააღორძინოს ეს სახეობა; სახეობა, რომელიც დედამდინარესავით გულუხვად კვებავდა რესპუბლიკას შესანიშნავი ფალავნებით ჭიდაობის სხვა სახეობებშიც.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენ შევესწარით ეზოში გამოფენილი ხალხის საუბარს. უბრალოდ გადმოვცემთ: ბევრნი ამბობდნენ „კარგი ჭიდაობა იყოო". ერთმა დასძინა:

— მაგრამ, მაინც ყველა წონაში არ არის ისეთი ფალავანი, როგორიც ზურაბაულია.

ვიღაცამ შეაწია:

— ერთი-ორი არის: ბალაკაშვილი, ყაჩმაზაშვილი..

ეს საუბარი ჩემპიონატის შეფასების თავისებურ განზოგადებას წარმოადგენდა: კასპელები კმაყოფილი იყვნენ და მაინც რაღაცით არ იყვნენ დაკმაყოფილებული.

გავერკვიოთ ამ „რაღაცაში".

ზურაბაული, ბალაკაშვილი, ყაჩმაზაშვილი — ესენი სწორედ იმ ძალის, იმ პლეადის წარმომადგენლები არიან, რომელთა გამოჩენასაც ჩვენ ისეთივე იმედისა თუ ნატვრის თვალით შევყურებდით ამ 5—6 წლის წინ, როგორც დღეს — ახალი, ღირსეული თაობის გამოჩენას.

და სწორედ ამ სამეულმა შეძლო ყველაზე უფრო წარმატებით შეჭიდებოდა ახალ, გართულებულ ამოცანას, რომელიც კასპის ასპარეზობამ დააყენა ფალავანთა წინაშე.

რაში მდგომარეობდა ეს ამოცანა?

ჩვენ უკვე ვწერდით ერთ ფაქტორზე — შეჯიბრების ახალ წესებზე, რაც მოიერიშე, აქტიური ჭიდაობის გზას აძლევდა სპორტსმენებს. მეორე სტიმულატორი იყო მსაჯთა ბრიგადა, რომელმაც გონივრულად აუღო ალღო ამ სიახლის დედააზრს და ქმედითი, ჩვენ ვიტყოდით, პატრიოტული ბრძოლა გამოუცხადა პასიურობას — ქართული ჭიდაობის არსისა და სულისკვეთების ამ ყველაზე უფრო სახიფათო და უგვანო მტერს.

მაგრამ ახალი ამოცანა დილემის წინაშეც აყენებდა სპორტსმენებს: ან უნდა შეგეძლოს ნამდვილად მოიერიშე ჭიდაობა (მარტო მონდომება არა კმარა!), ან უნდა მოაჩვენო იგი.

სწორედ ამიტომ ხდებოდა, რომ მოჭიდავეთა ერთი ნაწილი ამ უკანასკნელ ხერხს ადგებოდა (მაგალითად, ჟიჟიაშვილი ჯანგველაძესთან ორთაბრძოლისას, როცა იგი აქტიურობის იმიტაციას ახდენდა მოსავსავე ხელებით, ცრუ და უხეში მიხტომებით, მიწოლითა და... მსწრაფლ უკანვე გახტომით). ხოლო მეორე ნაწილი ისე უნიათოდ მიყვებოდა პასიურობის „ნაცად" გზას (ფინალშიც კი: ოდიშვილი — ჭავჭავაძე, მელიქოვი — კულიჯანოვი) ამჯერად უკვე... სარბიელიდან გაძევებამდე. საბედნიეროდ, იყო მესამე ჯგუფიც..

რატომ შეძლეს ზურაბაულმა, ბალაკაშვილმა, ყაჩმაზაშვილმა, ბალხამიშვილმა და მათმა ახალგაზრდა კოლეგებმა — გურჯაანელმა იაგანაშვილმა, თელაველმა მწარიაშვილმა, მცხეთელმა გოგოლაურმა, საგარეჯოელმა ქაიხოსროშვილმა, თბილისელმა იაშვილმა და ზოგმა სხვამაც იმ ახალი ამოცანის წარმატებით დაძლევა? იმიტომ, რომ მათ სწრაფვას აქტიური ბრძოლისკენ ხორცს ასხამდა მდიდარი ტექნიკა და მისი გამოყენების მოქნილი უნარი.

დიახ, ჩვენ ველით აღორძინების ახალ ტალღას, რომელსაც ძალუძს შეცვალოს აღმასვლის ზენიტში მყოფი და დაქანებისწინა წერტილზე მდგარი ძველი ნაკადი. სწორედ ისევე, როცა 5-6 წლის წინ შეცვალა ახალმა პლეადამ ეროვნული ჭიდაობის მდინარების შუალედური შემდორება, როცა ქართული ჭიდაობის ჰორიზონტზე მეტეორივით გაიქროლა ვახტანგ ბალავაძემ და სულ სხვა ორბიტაზე გავიდა, როცა ნამდვილი ფალავნების კოჰორტა შექმნეს დურმიშხან ბერუაშვილმა, ანზორ კიკნაძემ, ამირან ვარდოშვილმა, ჩიკვილაძე-უფროსმა, გოგი ნავროზაშვილმა, ლავრენტი კაციაშვილმა, ანზორ ქიბროწაშვილმა, ანზორ ზურაბაულმა, ბუღდან ბალაკაშვილმა, ჩიკვილაძე-უმცროსმა, ნოდარ ყაჩმაზაშვილმა... სწორედ მათ ასწიეს ხელახლა, საკუთარი მხრებით, ქართული ჭიდაობა მის ღირსეულ დონემდე და უკანასკნელ წლებამდე მოიტანეს იგი.

უკანასკნელ წლებში კი? დურმიშხან ბერუაშვილის სულახლანდელი დიდების ექოღა გვესმის; უკვე „დაექანენ" ა. ვარდოშვილი, ზ. ჩიკვილაძე, ლ. კაციაშვილი. სხვა „ორბიტაზე" გავიდნენ და „აღარ სცალიათ" ა. კიკნაძეს, ა. ქიბროწაშვილს, ფ. ჩიკვილაძეს. დაშვებისწინა ზენიტში დგანან (დრომ ხომ თავისი უნდა წაიღოს?!) დანარჩენებიც. და ქართული ჭიდაობის მდინარებასაც ბოლო წლებში ისევ დაეტყო შემდორება...

აი, სწორედ ამიტომ დგას, კასპის ჩემპიონატის შემდეგაც ეს პრობლემა: ძალუძთ თუ არა მძიმე, მაგრამ მეტისმეტად საპატიო მისიის ტვირთვა ახალგაზრდებს? აღიზრდებიან თუ არა მათი წრიდან ისეთივე მრავალფანდიანი და მოქნილი, შემტევი ტაქტიკის მქონე ფალავნები?

არ ვიცით. ჯერ არც ერთ მათგანს არ მოუცია ამისი მტკიცე გარანტია, თუმცა რაღაც იმედები კი ჩაგვისახა.

და მაინც გვსურს მათ მთელი ძალით, მთელი არსებით შევძახოთ: გოგოლაურო, იაშვილო, მწარიაშვილო, ჯანგველაძევ, გოდერძიშვილო!... ყველა, ვინც კი იმედს გვაძლევთ!... კისრულობთ თუ არა ამ მისიას?!

**ზ. ვადაჭკორია**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

კასპი.

# უიმბლდონის „ვარსკვლავები"

**უკანასკნელი სპორტული ამბები**

**ა. მეტრეველის გამარჯვება**

**ლონდონი,** 22 ივნისი. (საკდესი). ინგლისის დედაქალაქის ძველი გარეუბანი — უიმბლდონი მსოფლიო ჩოგბურთის „ვარსკვლავებს" მასპინძლობს. ბალახის მოედნებზე, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში კრეჭენ და თავს ევლებიან დახელოვნებული მებაღეები, დღეს დაიწყო ინგლისის საერთაშორისო ჩემპიონატი — უიმბლდონის ტურნირი. ეს ასპარეზობა არაოფიციალურ მსოფლიო პირველობად ითვლება.

ასპარეზობაში ფაქტიურად სამყაროს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს.

დიდ იმედებს ვამყარებთ საბჭოთა ჩოგბურთელებზე. აქ განსაკუთრებით აღნიშნავენ თ. ლეიუსის ბრწყინვალე წარმატებას „კუინს კლაბის" ტურნირში, რომელშიც მან დაამარცხა ავსტრალიელი კ. ფლეტჩერი და მექსიკელი რ. ოსუნა (მექსიკელს უიმბლდონის კლასიფიკაციაში IV ადგილი უკავია). ინგლისურმა სპორტულმა პრესამ აღნიშნა, რომ ლეიუსი პირველი საბჭოთა ჩოგბურთელია, რომელიც ასეთი სერიოზული ტურნირის ფინალში მოხვდა.

ესტონელის გარდა, უძლიერესთა ფორუმში მონაწილეობენ ა. დმიტრიევა (მოსკოვი), ორი თბილისელი ა. მეტრეველი და ა. ივანოვა, ბაქოელი ს. ლიხაჩოვი და მოსკოველი ვ. კოროტკოვი.

პირველ წრეში ლეიუსმა დაამარცხა ა. ფოქსი (აშშ) — 6:3, 6:2, 6:2, ხოლო მეტრეველმა—არგენტინელი ე. სორიანო — 6:3, 3:6, 6:1, 6:4.

უიმბლდონის ტურნირი ორ კვირას გასტანს.

# თასი ესპანელებს დარჩათ

21 ივნისის ფინალურ მატჩს ევროპის თასზე ფეხბურთში მადრიდის „სანტ-იაგო ბერნაბეუს" სტადიონზე დაესწრო მაყურებელთა მაქსიმუმი. საპატიო პრიზისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

მეტოქეები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობებით: ესპანეთი — ირიბარი, რივილია, ოლიველია, ზოკო, კალეხა, ფუსტე, პერედა, ამანსიო, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა; სსრ კავშირი — იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, მუდრიკი, კორნეევი, ვორონინი, ჩისლენკო, ივანოვი პონედელნიკი, ჰუსაინოვი. მატჩს სჯიდა ინგლისელი არბიტრი ა. ჰოლანდი.

ესპანელებმა დასაწყისშივე უკიდურესად მაღალი ტემპი შეთავაზეს მოწინაალმდეგეს და უკვე მე-6 წუთზე მათმა აგრესიულმა ნახევარმცველმა პერედამ გახსნა ანგარიში. საბჭოთა გუნდის კონტრშეტევა ორიოდე წუთის შემდეგ საპასუხო გოლით დამთავრდა. ბურთი გაიტანა ჰუსაინოვმა — 1:1. შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ესპანელი ფორვარდები თავიანთ საბჭოთა კოლეგებზე გაცილებით უკეთ მოქმედებდნენ.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლა მეორე ტაიმში. მატჩის დამთავრებას აკლდა 6 წუთი, როცა მასპინძელთა მარჯვენა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მარსელინომ რთული მდგომარეობიდან ძალიან ლამაზი თავური დარტყმით გაიტანა მეორე ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მის გუნდს — 2:1. ამრიგად, ევროპის თასი მოიპოვა ესპანეთის ნაკრებმა, საბჭოთა ფეხბურთელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

ფინალის წინადღეს ბარსელონაში შედგა მატჩი მესამე ადგილისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და დანიის გუნდები. თამაშის ძირითადი დრო — 90 წუთი დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებით დროში უნგრელებმა 2 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და გათამაშებაში დაიკავეს მესამე ადგილი.

(საკდესი).

## სსრ კავშირის თასზე

**კუიბიშევი,** 21 ივნისი. დიდ წარმატებას მიაღწიეს ადგილობრივი „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. მეოთხედფინალში ისინი შეხვდნენ ლვოვის არმიელთა გუნდს, დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0 და გავიდნენ ნახევარფინალში.

## ოლიმპიელთა მატჩი

როგორც ცნობილია, 28 ივნისს სსრ კავშირისა და გდრ-ის ფეხბურთელები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მესამე გადამწყვეტ მატჩში, რომელიც გამოარკვევს ფინალის მონაწილეს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. შეხვედრა, რომელსაც მოემსახურებიან პოლონელი არბიტრები, გაიმართება ვარშავაში.

საბჭოთა ოლიმპიელებმა მინსკში ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის ლკს-თან (ლოძი). მატჩი დამთავრდა უშედეგოდ—0:0.



სურათზე: გასულ შაბათს ფოთში გამართული კალენდარული მატჩის (ადგილობრივი „კოლხიდა" — ბათუმის „დინამო") ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. ტულუშისა.

## დინამოელთა დამარცხება

**კრაკოვი,** 22 ივნისი. (ტელეფონით). როგორც ცნობილია, ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად პოლონეთში ჩამოვიდნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. სტუმრებს გუშინ აქ პირველი მატჩი ჰქონდათ ადგილობრივ „ვისლასთან".

თბილისელებმა წააგეს შეხვედრა ანგარიშით 2:3 (0:2). პოლონელთა მხრივ ბურთები გაიტანეს გახმა, სკუპნიკმა და ნოვკოვსკიმ, ხოლო დინამოელთაგან—ბარქაიამ და კალოევმა.

## ამხანაგური შეხვედრა

**ქუთაისი,** 22 ივნისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). ადგილობრივი „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდმა დღეს ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა ბათუმის „დინამოსთან". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2 (2:0). ბურთები გაიტანეს: „ტორპედოდან" — ჩხარტიშვილმა, მუმლაძემ და ხაჟალიამ, „დინამოდან" — დანელიამ და ქვლივიძემ.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**II ჯგუფი II ქვეჯგუფი**

გრძელდება გათამაშება სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის.

განვლილ კვირას გაიმართა მორიგი მატჩები ორივე ქვეჯგუფში. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თბილისის „ლოკომოტივმა", რომელიც ამ დღეს ოდესაში შეხვდა ქვეჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერს — ადგილობრივ არმიელთა გუნდს. მართალია, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ „ლოკომოტივმა" შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და შესვენების შემდეგ გაათანაბრა ანგარიში—1:1. საპასუხო გოლის ავტორი იყო ონიანი.

სხვა შეხვედრები **მეორე ქვეჯგუფში** დამთავრდა ასეთი შედეგებით: „არარატი" (ერევანი)—„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე)—„კარპატი" (ლვოვი) 1:1, „ალგა" (ფრუნზე)—„ტრუდი" (ვორონეჟი) 2:0, „შახტიორი" (ყარაგანდა)—„სპარტაკი" (გომელი) 3:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი)—„ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:1.

**პირველი ქვეჯგუფი:** „პახტაკორი" (ტაშკენტი)—„ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 1:0, „ვოლგა" (კალინინი) — სკა (ნოვოსიბირსკი) 0:1, „ავანგარდი" (ხარკოვი)—„ქალგირისი" (ვილნიუსი) 0:2. „ზარია" (ლუგანსკი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა). 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 12 | 8 | 4 | 0 | 17—3 =+14 | 20 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 13 | 6 | 4 | 3 | 20—11=+ 9 | 16 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 13 | 6 | 3 | 4 | 19—17=+ 2 | 15 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 12 | 6 | 2 | 4 | 13—10=+ 3 | 14 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14—18=— 4 | 14 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 13 | 4 | 5 | 4 | 13—10=+ 3 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 12 | 3 | 7 | 2 | 11—8 =+ 3 | 13 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 12 | 4 | 5 | 3 | 10—7 =+ 3 | 13 |
| „არარატი" (ერევანი) | 13 | 3 | 6 | 4 | 9—10=— 1 | 12 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 13 | 4 | 3 | 6 | 12—17=— 5 | 11 |
| „დინამო" (ტალინი) | 12 | 2 | 5 | 5 | 11—13=— 2 | 9 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 12 | 3 | 3 | 6 | 9—14=— 5 | 9 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 13 | 2 | 5 | 6 | 6—13=— 7 | 9 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 13 | 2 | 4 | 7 | 11—24=—13 | 8 |



სურათზე: საქართველოს რეკორდსმენი ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვ. გიორგაძე.

ფოტო ბ. კამენსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ წავა სევასტოპოლში?

**წყალბურთის „მოედანზე“**

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მეორე ეშელონის წყალბურთელთა გუნდები „ა“ კლასში გადასასვლელად ძალებს ცდიან ზონალურ ტურნირებში. მსგავსი სპორტული ღონისძიება დაიწყო თბილისშიც, სადაც ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“, ბაქოს სკა-სა და ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის გუნდები. თბილისის ზონაში I—II ადგილზე გამოსული გუნდები მოიპოვებენ ფინალში მონაწილეობის უფლებას. დასკვნითი მატჩები გაიმართება სევასტოპოლში. აქ გამარჯვებული 2 კოლექტივი მომავალ წელს ითამაშებს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდების ჩემპიონატში.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკი“— „ლოკომოტივი“ და ბაქოს სკა — ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდების მატჩი საინტერესოდ წარიმართა. რკინიგზელები გააზრებულად უტევდნენ უფრო გამოცდილ მეტოქეებს. სტუდენტები კი მეტისმეტად ჩქარობდნენ კარში დასკვნითი დარტყმების შესრულების დროს და ბურთი, როგორც წესი, ვერ ხვდებოდა მიზანს.

„ლოკომოტივის“ ერთ-ერთი შეტევის დროს „ბურევესტნიკის“ მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს რკინიგზელი გრიგორიევი. ამ უკანასკნელმა ისარგებლა ამით და გახსნა ანგარიში. ერთ მომენტში რკინიგზელი წყალბურთელები „მინდორზე“ 6-ნი დარჩნენ, რაც კარგად იქნა გამოყენებული მათი მეტოქეების მიერ — 1:1.

წყალბურთში ასეა თითქმის დაკანონებული: თუ გუნდმა მოიპოვა რიცხობრივი უპირატესობა, მისი რეალიზება არც თუ ისე რთული საქმეა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ამის გაკეთება ძალზე გაძნელდა. ასე იყო მოსკოვში დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრებშიც, სადაც „დაზარალებული“ წყალბურთელები უფრო ხშირად აღწევდნენ მიზანს, თავად იყვნენ გატანილი ბურთის ავტორები. ასე მოხდა გასული კვირის მატჩშიც.

„ბურევესტნიკმა“ მოიპოვა რიცხობრივი უპირატესობა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ისინი დაწინაურებულიყვნენ ანგარიშში, პირიქით მოხდა, ბურთი მათ კარში გავიდა. სტუდენტებმა (ჩიკვაიძე) მხოლოდ უკანასკნელ წუთზე შეძლეს დამარცხებისგან თავის დაღწევა — 2:2.

ბაქოს სკა-მ ადვილად დაამარცხა თანაქალაქელი ჭაბუკი წყალბურთელები — 9:3.

**ზ. ჯანდიერი**




◆ **ფლორენცია.** აქ დამთავრდა „ფიორენტინის“ კლუბის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და ბრაზილიის „სან-პაულოს“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 1:0.

◆ **იტალიის** აგარაკ მერანოში დაიწყო დიდი ოლიმპიური ტურნირი შაშში, რომელშიც 14 გამოჩენილი მოშაშე მონაწილეობს. 3 ტურის შემდეგ წინაა საბჭოთა დიდოსტატი შჩოგოლევი (3 ქულა). ლიდერს კვალში მიჰყვება მსოფლიო ჩემპიონი კუპერმანი (სსრკ) — 2,5 ქულა.

◆ **ბუდაპეშტი.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა საკმაოდ მაღალი კლასის შედეგები. აი, ისინიც: ბირთვი — თ. პრესი 17,52 მ, ბადრო — თ. პრესი 58,82 მ (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), შუბი (ვაჟები) — ი. ლუსისი 79,91 მ, ბირთვი (ვაჟები) ვ. კომარი (პოლონეთი) 19,50 მ (მძლეოსნობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი), ურო — ი. ბაკარინოვი 65,33 მ, ბადრო — ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია) 60,70 მ.

◆ **ლონდონი.** „კუინს კლაბის“ ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალში საბჭოთა სპორტსმენი თ. ლეიუსი შეხვდა მსოფლიო ჩოგბურთის პირველ ნომერს — ავსტრალიელ რ. ემერსონს. გამარჯვება ავსტრალიელს ხვდა წილად — 12:10, 6:4.

◆ **ლაიფციგი.** ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჭოკით მხტომელმა მ. პრეისგერმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 502 სმ. ძველი რეკორდის მფლობელი იყო ფინელი პ. ნიკულა.

## ორი გამარჯვება ფინალში

**კრაკოვში** გრძელდება „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. ფინალში მორიგ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს პოლონეთის „გვარდიის“ სპორტსმენები — 68:50 (30:24).

წინასწარ თამაშებში გდრ-ის გუნდმა დაამარცხა ჩინეთის „ციანვეი“, მაგრამ ეს შედეგი, როგორც ცნობილია, ფინალში არ ჩაითვალა. კოლექტივები ერთმანეთს განმეორებით შეხვდნენ. ამჯერად ჩინელებმა რევანში აიღეს და გაიმარჯვეს — 96:77 (45:33). ფინალურ ოთხეულში დაუმარცხებლად იბრძვის სსრ კავშირის „დინამო“. მან ორივე შეხვედრა მოიგო.

მეორე ჯგუფში (სადაც თამაშდება V—VIII ადგილები) ტექნიკური შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) 60:55 (29:25), „დინამო“ (რუმინეთი) — „დოჟა“ (უნგრეთი) 80:63 (33:33), „დინამო“ (რუმინეთი) — „რუდა გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) 73:69 (41:36), „სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „დოჟა“ (უნგრეთი) 53:52 (37:26).

## უკანასკნელ საათს!

◆ **ტარტუ.** მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ფენომენალური შედეგი აჩვენა კუბელმა სპრინტერმა ფიგუეროლამ. 100 მეტრი მან 10,1 წამში გაირბინა.

◆ **ლვოვი.** აქ გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო პირველობის VIII ეტაპი, რომელმაც ლიდერთა განლაგებაში არსებითი ცვლილება შეიტანა. შვედ რ. ტიმლინს ლიდერობა ინგლისელმა ჯ. სმიტმა ჩამოართვა. ამ ეტაპზე მოსკოველი ნ. სოკოლოვი IV იყო, ხოლო რიგელი ა. კლიავინში — V.



„ავარიის“ შედეგები...

ფოტოეტიუდი ს. მამასახლისისა.

## კენჭი უყარეს წინაალმდეგ

**მადრიდში** მოეწყო ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის მორიგი, VII კონგრესი, რომელმაც 69 ქვეყნის დელეგატთა თანდასწრებით განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

მთავარ საკითხად კონგრესზე განხილულ იქნა პროექტი იმის შესახებ, რომ ევროპის თასის გათამაშება მომავალში გადაექციათ კონტინენტის ჩემპიონატად. პროექტის ავტორს — უეფა-ს პრეზიდენტს გ. ვიდერკერს განზრახული ჰქონდა აღნიშნული ჩემპიონატი შეეთავსებინა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირთან. პრეზიდენტის პროექტის განხილვისას ადრე უთანხმოებას თითქოს არა ჰქონია ადგილი, მაგრამ კენჭისყრისას გამოირკვა, რომ უმეტესობა მისი წინაალმდეგი ყოფილა. ამიტომ პროექტმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

გარდა ამისა, იყო წინადადება, წელიწადში ორი დღე (ოქტომბრის პირველი კვირადღე და აპრილის ბოლო კვირადღე) გამოეყოთ ევროპის ქვეყნების ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად. კონგრესმა ამ წინადადებასაც აცილება მისცა.

და კიდევ ორი წინადადება, რომლებიც უარყოფილ იქნა.—კონგრესი წინაალმდეგი წავიდა დაენიშნოთ მსაჯებს სპეციალური ანაზღაურება საერთაშორისო მატჩებში და მოეწყოს ჩრდილოეთის ქვეყნების ტურნირი იუნიორთა გუნდებს შორის.

### „ბრძოლა“ ჩოგბურთისათვის

ჯერ კიდევ არ დაწყებულა ტოკიოს თამაშები და საერთაშორისო ფედერაციები უკვე განიხილავენ მექსიკის 1968 წლის ოლიმპიადის პროგრამას. პირველად „ბრძოლაში ჩაებნენ“ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურნი, რომლებიც მოითხოვენ სპორტის ამ სახეობის მომავალი ოლიმპიადის პროგრამაში შეტანას.

ვენაში მოწყობილ სხდომაზე მათ მოითხოვეს აღუდგინონ ჩოგბურთს „ოლიმპიური უფლებები“ (სპორტის ეს სახეობა ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღებულ იქნა 1924 წელს).

ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის და მექსიკის ეროვნულმა ფედერაციებმა.

□

### სპორტული ისტორიის რელიქვია

ვერცხლის წრეში/გამოსახულია გველთან შებრძოლებული ჰერკულესი. ეს მედალი 74 წლისაა. იგი გაკეთებულია ბერლინის ძალოსნური კლუბის არსებობის 10 წლისთავის აღსანიშნავად. ამით იხსნება



სპორტული ნიშნების კოლექცია, რომელიც შეაგროვა მოლდავეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ვლადლენ ლიუროვმა. კოლექცია ითვლის 1.500 მედალს, სამკერდე ნიშანს, ჟეტონს...

ვლადლენ ლიუროვი 7 წელია აგროვებს სპორტული ჯილდოებისა და სუვენირების კოლექციას. ნიშნებისა და მედლების გადათვალიერებისას თქვენ „მოხვდებით“ 1912 წლის რუსეთის ჩემპიონატზე ფეხბურთში, მელბურნის ოლიმპიადაზე, ევროპის 1926 წლის პირველობაზე მძლეოსნობაში...

განსაკუთრებით მდიდარია ის განყოფილება, რომელიც ეხება საბჭოთა სპორტს. აქ არის ყველა სპორტული საზოგადოების ემბლემა, მოკავშირე რესპუბლიკების, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების ჟეტონები, ფედერაციების სამკერდე ნიშნები. არის აგრეთვე ფეხბურთში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში მოლდავეთის პირველობაზე მოპოვებული ჟეტონები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ რელიქვიის პატრონებს — ვლადლენსა და მის მეუღლეს — ლუდმილას თავად არა ერთხელ დაუცავთ კიშინიოვისა და მოლდავეთის სპორტული ღირსება.

**ვ. ლისეევი**

### 3.000 მილი იალქნებით

3 ათასი მილი იალქნებით (მდინარეებისა და ტბების გავლით) ლენინგრადიდან მოსკოვამდე, — ასეთია პიონერთა საზოგადოებრივი კლუბის — „ახალგაზრდა კაპიტნების“ 20 მოსწავლის გეგმა. იახტები — „სიურპრიზი“ და „ზღაპარი“, რომლებითაც იმოგზაურებენ ბავშვები, თვითონ ააგეს უფროსი მეზღვაურების ხელმძღვანელობით. მეიალქნეები უკვე ლენინგრადში არიან და მალე დაიწყებს საინტერესო მოგზაურობა.

... შვიდი წელია არსებობს „ახალგაზრდა კაპიტნების“ კლუბი. ბავშვებმა თავიანთი ძალებით ააგეს მთელი ფლოტილია — 25 იახტა. 44-მა მოსწავლემ, რომელთა შორის 25-ს სპორტული თანრიგი აქვს, უფლება მოიპოვა დამოუკიდებლად ატაროს თეთრაფრიანი ხომალდები.

**ა. სტროლისი**

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

24 ივნისი

**ფეხბურთი**

ფინალური შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა გუნდებს შორის

„კოლხიდა“ (ფოთი) — ახალგ. სკოლა (თბილისი)

დასაწყისი 17.00 ს.

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)

დასაწყისი 18 ს. და 45 წ.



რიგა, 22 ივნისი. გუშინ აქ დამთავრდა ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა ოლიმპიური თამაშების მთლიანი პროგრამით. პირველი ადგილი დაიკავეს ბელორუსიის მძლეოსნებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის წარმატებას მიაღწიეს რ. შავლაყაძემ და ი. ზიედინმა. მათ 206 სმ დაძლიეს. პირველი ადგილი მიეკუთვნა შავლაყაძეს, რომელმაც სიმაღლე პირველივე ცდისას აიღო.

კიდევ ორმა გუნდმა მოიპოვა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის საგზურები. ესენი არიან ირანისა და განის ნაკრებები. ირანელებმა შერჩევითი მატჩები მოუგეს ინდოეთის ნაკრებს, ხოლო განის ფეხბურთელებმა — ტუნისის გუნდს.

გამოურკვეველი დარჩა მხოლოდ ოთხი საგზურის ბედი. მათზე პრეტენზიას აცხადებენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ტაილანდის, იტალიისა და პოლონეთის, სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის ოლიმპიელები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.

